ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა

კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	**მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი**
პროგრამის დასახელება	**რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)**
პროგრამის დასახელება ინგლისურად	**Regional Studies (European Studies, Caucasus Studies)**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	• **ევროპისმცოდნეობის მაგისტრი (Master of European Studies)** • **კავკასიის კვლევების მაგისტრი(Master of Caucasus Studies)**
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	4 სემესტრი/120 კრედიტი (1 კრედიტი = 25 საათი)
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავდა 2011 წელს და განახლდა 2021 წელს. პროგრამის განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე, პროგრამისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი გიორგი ნოდია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი.

მაგისტრატურაში მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის საფუძველზე. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე გასასვლელად სტუდენტმა უნდა ჩააბაროს ინგლისური ენის დონის (B2.1) დამადასტურებელი ტესტი. შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის ფარგლებში მოწმდება სტუდენტის დარგობრივი ცოდნა და მოტივაცია.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში "მიღება".

პროგრამის მიზნები

სამაგისტრო პროგრამის მიზანია, აღზარდოს კონკურენტუანარიანი პროფესიონალების ახალი თაობა, რომელიც ფლობს კომპლექსურ ცოდნას ევროპის ან კავკასიის რეგიონების ისტორიული და თანამედროვე განვითარებების შესახებ პოლიტიკის მეცნიერების, საერთაშორისო ურთიერთობების, ისტორიის, ეკონომიკის, სოციოლოგიის ან სხვა მომიჯნავე დისციპლინების ჭრილში და შეძლებს რეგიონული კვლევების კონტექსტში არსებულ პრობლემათა კვლევას და გააზრებას თანამედროვე მეცნიერული მეთოდოლოგიის და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით.

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებული (მა):

1. ავლენს სიღრმისეულ ინტერდისციპლინურ ცოდნას რეგიონის (ევროპა/კავკასია), მათ შორის - მისი ისტორიული განვითარებისა და თანამედროვე გამოწვევების შესახებ;
2. ავლენს სისტემურ ცოდნას რეგიონულ კვლევებში (ევროპა/კავკასია) გამოყენებული თეორიების/თეორიული ჩარჩოების შესახებ;
3. ავლენს სისტემურ ცოდნას რეგიონში (ევროპა/კავკასია) არსებული ინსტიტუციური სისტემების, მათი სპეციფიკის და პოლიტიკის შესახებ ინფორმაციას;
4. რეგიონული კვლევების კონტექსტში შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევა რელევანტური კვლევის მეთოდებისა და ინტერდისციპლინური ცოდნის გამოყენებით;
5. შეუძლია გაანალიზოს და შეაფასოს კავკასიის/ ევროპის რეგიონში განვითარებული პროცესები;
6. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შეუძლია კვლევის შედეგების, საკუთარი დასკვნების, დასაბუთბულიარგუმენტების წარდგენა როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო აკადემიური თუ პროფესიული საზოგადოებების წინაშე, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
7. სწავლისა და კვლევის პროცესში შეუძლია იმოქმედოს ავტონომიურად და გამოავლინოს საკუთარი მეცნიერული ხედვა და დამოკიდებულება (scientific attitude).

სწავლების მეთოდები

სასწავლო პროგრამაში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- ლექცია;
- სემინარი:
- ანალიზი და სინთეზი;
- პრაქტიკული სამუშაო;
- პროექტები;
- ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა;
- დემონსტრირების მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- ელექტრონული სწავლების ელემენტები;
- სიტუაციური თამაშები;
- გონებრივი იერიში;
- სიმულაციები;
- შემთხვევის შესწავლა;
- სუპერვიზია;
- რეფლექსია.

შენიშვნა:პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში/კონცეფციებში.

სასწავლო პროგრამის სტრუქტურა

სამაგისტრო პროგრამა "რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)" მოიცავს ორ მიმართულებას - ევროპისმცოდნეობას და კავკასიის კვლევებს. თითოეული მიმართულებით პროგრამა ითვალისწინებს 120 კრედიტის დაგროვებას შემდეგი სქემის მიხედვით:

მიმართულება - ევროპისმცოდნეობა

1. პროგრამის სავალდებულო კურსები - **30** კრედიტი;
2. ევროპისმცოდნეობის მიმართულების სავალდებულო - არჩევითი კურსები - მინიმუმ **42** კრედიტი;
3. თავისუფალი კომპონენტი - მაქსიმუმ **18** კრედიტი, რომელიც სტუდენტს შუძლია დააგროვოს როგორც რეგიონული კვლევების (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები) პროგრამის, ასევე სამაგისტრო საფეხურის ნებისმიერი სხვა პროგრამის სასწავლო კურსებიდან;
4. სამაგისტრო ნაშრომი (ევროპისმცოდნეობის მიმართულება) - **30** კრედიტი.

მიმართულება - კავკასიის კვლევები

1. პროგრამის სავალდებულო კურსები - **30** კრედიტი;
2. კავკასიის კვლევების მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსები - მინიმუმ **42** კრედიტი;
3. თავისუფალი კომპონენტი - მაქსიმუმ **18** კრედიტი, რომელიც სტუდენტს შუძლია დააგროვოს როგორც რეგიონული კვლევების (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები) პროგრამის , ასევე სამაგისტრო საფეხურის ნებისმიერი სხვა პროგრამის სასწავლო კურსებიდან;
4. სამაგისტრო ნაშრომი (კავკასიის კვლევების მიმართულება) - **30** კრედიტი.

შეფასების წესი
სტუდენტების შეფასება ხორციელდება ასქულიანი სისტემით.: ● (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ● (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; ● (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; ● (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ● (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ● (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ● (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია თითოეული საგნის სილაბუსში. შენიშვნა: შეფასების მეთოდები, კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.
დასაქმების სფეროები
პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს შემდეგ სფეროებში: რეგიონული კვლევების, ევროპისმცოდნეობისა და კავკასიის კვლევების მიმართულების პროფილურ ორგანიზაციებში, საჯარო სამსახურში, საზოგადოებრივ და კერძო სექტორში, არასამთავრობო სექტორში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, შესაბამისი პროფილის კვლევით ცენტრებსა და აკადემიურ ინსტიტუტებში. პროგრამის დამთავრება საშუალებას აძლევს სტუდენტს სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები
● სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „არგუსი“; ● სასწავლო პროცესის მართვის სისტემა E-learning და მასში ინტეგრირებული პროგრამა Turnitin ● უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრები; ● სალექციო აუდიტორიები; ● უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები (მათ შორის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები - ScienceDirect, Scopus, Thomson Reuters, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, ebrary, Oxford Journals და სხვა); ● უნივერსიტეტის სოციალური და კულტურის კვლევების ინსტიტუტი; ● სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის კვლევითი ბაზები; ● მეხსიერების კვლევების კავკასიური ცენტრი; ● SOVLAB - საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია; ● სააუდიტორიო/სამუშაო სივრცეები; ● უნივერსიტეტის მულტიმედია-ბიბლიოთეკა;